## საერთაშორისო ურთიერთობები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პარტნიორია 120-ზე მეტი უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო კლინიკა მსოფლიოს 30-ზე მეტი ქვეყნიდან. მათთან თანამშრომლობა რეგულირდება ორმხრივი ხელშეკრულებებით და/ან ერთობლივი საერთაშორისო პროექტებით (ERASMUS +, HORIZON, MEVLANA და სხვა).

## ERASMUS+ ფარგლებში ხელშეკრულებები გაფორმებულია შემდეგ უნივერსიტეტებთან:

- ტიროლის კლინიკების გაერთიანების დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრი (AZW) (ავსტრია)
- ლიეჟის უნივერსიტეტი (ბელგია)
- პლევენის სამედიცინო უნივერსიტეტი (ბულგარეთი)
- ბერლინის შარიტეს სამედიცინო უნივერსიტეტი (გერმანია)
- მიდლსექსის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
- ჩესტერის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
- კარდიფის მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
- კილის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
- სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი (ესპანეთი)
- ტალინის ჯანდაცვის კოლეჯი (ესტონეთი)
- ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი)
- დიჯლეს უნივერსიტეტი (თურქეთი)
- პიზის უნივერსიტეტი (იტალია)
- სასარის უნივერსიტეტი (იტალია)
- პავიის უნივერსიტეტი (იტალია)
- პერუჯის უნივერსიტეტი (იტალია)
- ლატვიის უნივერსიტეტის რიგის სამედიცინო კოლეჯი (ლატვია)
- ლიეტუვას ჯანდაცვის მეცნიერებათა უნივერსიტეტი (ლიეტუვა)
- კლაიპედას გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი (ლიეტუვა)
- პოზნანის სამედიცინო მეცნიერებათა უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- პოვისლანსკის კოლეჯი კვიძინში (პოლონეთი)
- შჩეცინის დასავლეთ პომერანიანის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- გდანსკის სამედიცინო უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- იან კოხანოვსკის სახელობის კელცეს უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- პორტოს უნივერსიტეტი (პორტუგალია)
- კოიმბრის უნივერსიტეტი (პორტუგალია)
- ტირგუ მურეშის მედიცინის, ფარმაციის, მეცნიერებების და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი (რუმინეთი)
- კრაიოვას მედიცინისა და ფარმაციის უნივერსიტეტი (რუმინეთი)
- იულიუ ჰაციეგანუს მედიცინის და ფარმაციის უნივერსიტეტი (რუმინეთი)
- არისტოტელეს სახელობის თესალონიკის უნივერსიტეტი (საბერძნეთი)
- ტულუზის პოლ საბატიეს სახელობის უნივერსიტეტი (საფრანგეთი)
- პარიზის ვალ–დე–მარნის უნივერსიტეტი (საფრანგეთი)
- კონსტანტინე ფილოსოფოსის სახელობის უნივერსიტეტის ნიტრაში (სლოვაკეთი)
- დებრეცენის უნივერსიტეტი (უნგრეთი)
- ზაგრების უნივერსიტეტი (ხორვატია)
- ზადარის უნივერსიტეტი (ხორვატია)



## საკონტაქტო ინფორმაცია

თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 33

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსი,
პირველი სართული,
ოთახი №103

(+995 32) 254 24 03
(+995 32) 254 24 05

PER TRADITIONES AD FUTURUM

# მედიცინის ფაკულტეტი

tsmu.edu

მედიცინის ფაკულტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი  და სათანადო კომპეტენციის მქონე დიპლომირებული მედიკოსების და  მკვლევრების მომზადებას. ფაკულტეტზე დიპლომირებული მედიკოსის ქართულ–  და ინგლისურენოვან პროგრამებზე ამჟამად სწავლობს ოთხი ათასამდე სტუდენტი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

მედიცინის ფაკულტეტზე სწავლება ერთსაფეხურიანია და მისი ხანგრძლივობა 6 წელია. დიპლომირებული მედიკოსის ქართულ და ინგლისურენოვანი  პროგრამების მიზანია კურსდამთავრებულების მომზადება კომპეტენციის ფარგლებში სამედიცინო საქმიანობისათვის, დიპლომისშემდგომი განათლებისა და სპეციალური მზადებისათვის როგორც საქართველოში, ასევე, საზღვარგარეთ. სტუდენტების კლინიკური სწავლება მიმდინარეობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის  კლინიკებსა და სხვადასხვა პროფილის 170–მდე აფილირებულ სამედიცინო დაწესებულებაში.

დიპლომირებულ  მედიკოსს აქვს შესაძლებლობა,  დასაქმდეს უმცროს ექიმად, ან სწავლა გააგრძელოს რეზიდენტურაში, დოქტორანტურაში  ან მაგისტრატურაში.

# ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები

**დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა:**
სწავლის წლიური ღირებულება საქართველოს მოქალაქეებისათვის  –  2250 ლარი, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის  –  4000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

**დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა:**
სწავლის წლიური ღირებულება საქართველოს მოქალაქეებისათვის – 8000 ლარი, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის  – 13500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

# კარიერული სქემა

